# საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

## ბრძანება №01-46/ნ

2019 წლის 24 მაისი

ქ. თბილისი

**„მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №147/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 3 მაისის №147/ნ (სსმ, 69, 17/05/2007, ს/კ 470.230.000.22.035.010.318) ბრძანებით დამტკიცებული №1 დანართში (მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოთა ნუსხა) შეტანილ იქნეს ცვლილება და 541-ე მუხლის (ჰიდრომეტეოროლოგიისა და გეოლოგიის სფეროებში საქმიანობა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თოვლსაზვავე, გლაციოლოგიურ და წყალდიდობა-წყალმოვარდნა პერიოდში ჰიდრომეტრულ საველე ექსპედიციებში მონაწილე სპეციალისტი.

2. სტიქიური გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ღვარცოფი) ექსტრემალური განვითარების პერიოდში საფრთხეების ოპერატიულად შეფასებისათვის საველე ექსპედიციური სამუშაოების განმახორციელებელი სპეციალისტი.“.

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი** **დავით სერგეენკო**